ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 310

2 ოქტომბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №28-ის მიმდებარედ 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ:№ 01.15.05.010.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაქრო ქონსთრაქშენისთვის" (ს/ნ: 445433120) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122^1 მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №28-ის მიმდებარედ, 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ:№ 01.15.05.010.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაქრო ქონსთრაქშენ"-ისთვის (ს/ნ: 445433120) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 სექტემბრის №18.782.1127 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №28-ის მიმდებარედ 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.15.05.010.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაქრო ქონსთრაქშენ"-ისთვის (ს/ნ: 445433120) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5 400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე